

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის
N32 ბინაზე, მოქალაქე თინათინ კახიანისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ავტომშენებლის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N32 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თინათინ კახიანის განცხადება /2013 წლის 26.02 Nკ-2418/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლი N32 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N32 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თინათინ კახიანს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N32 ბინაზე /საერთო ფართობი 30,64 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 17,86 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12,78 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 3,00 კვ.მ./ მოქალაქე თინათინ კახიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალე პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ა.ძოწენიძე